ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3

2022 წლის 1 აგვისტო

სოფ. წეროვანი

„ახალგორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული სოციალური პროგრამების განკარგვის, დაფინანსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება „ახალგორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული სოციალური პროგრამების განკარგვის, დაფინანსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 მარტის N8 დადგენილებაში (ვებ.გვერდი 20.03.2018, სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.150.016142), კერძოდ, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული „ახალგორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული სოციალური პროგრამების განკარგვის, დაფინანსებისა და გაცემის წესის“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სამედიცინო მომსახურეობის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, სამედიცინო დაწესებულებიდან შესრულებული სამუშაოს შესახებ საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. დიალიზის პროგრამით მოსარგებლეთა სატრანსპორტო ხარჯები ანაზღაურდება მოქალაქეებზე, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N100-ის და მიღებული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, კლინიკაში თითოეულ ვიზიტზე, მოქალაქის პირად ანგარიშზე 6 (ექვსი) ლარის ჩარიცხვით“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალგორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — თამაზ ბალაშვილი